სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

12 აპრილი, 2024 წ.

ბრძანება N 01-18/125

2024 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების,** „2024 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 21 თებერვლის N01-02/22 ბრძანების, „2024 წელს განსახორციელებელი ბსუ-ში სტუდენტური პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 აპრილის N01-02/43 ბრძანების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 08 აპრილის MES 4 24 0000408489 და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2024 წლის 12 აპრილის MES 0 24 0000424612 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **დაფინანსდეს** 2024 წელს მარტსა და აპრილში ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებული, **2024 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტები:**

ა) **„Gather 2gether“ 2 (N1 დანართი**) - პროექტის ავტორი: ფებრიან ნიშანთჰან აჰიშთან, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 7 858 ლარი;

ბ) **„ლიდერთა ბანაკი“ (N2 დანართი**) - პროექტის ავტორი: ირაკლი კეშელავა, ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 12 400 ლარი;

გ) **„მოტივARTორი“ (N3 დანართი)** - პროექტის ავტორი: <u>იური აზაროვი,</u> ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 1 610 ლარი;

დ) **„უნივერსიტეტის დახმარება სკოლას STEM მეცნიერებების პოპულარიზაციაში“ (N4 დანართი)** - პროექტის ავტორი: <u>კახა კოტრიკაძე,</u> ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი - 3 000 ლარი.

2. ამ გრძანებით დამტკიცებული პროექტების ბიუჯეტების და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად რესურსების განკარგვის კოორდინაცია უზრუნველყოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა და წინამდებარე გრძანების დანართების შესაბამისად განხორციელდეს პროექტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული აქტივობები (პერსონალის მოწვევა, სამსახურებრივი გარათების წარმოდგენა, მატერიალური რესურსების გამოყენება, შეძენა და სხვა).
3. ამ გრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძემ).
4. გრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. გრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, **პროექტების ხელმძღვანელებს** (ჩაბარება უზრუნველყოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა): <u>ფებრიან ნიშანთჰან აჰიშთანს, ირაკლი კეშელავას, იური აზაროვს, კახა კოტრიკაძეს.</u>
6. გრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.
7. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

„2024 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 12 აპრილის N 01-18/125 ბრძანების

N1 დანართი

2024 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის სახელწოდება: „Gather 2gether“ 2

სტუდენტური პროექტის ავტორი: ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) სტუდენტი **ფებრიან ნიშანთჰან აჰიშთან**

პროექტის ბიუჯეტი: 7 858 ლარი

პროექტის ID: 96
რეგისტრაციის დრო: 2024-03-29 13:47:01
პროექტის ტიპი: **კულტურული**

1. **განმცხადებელი**
1.1 პროექტის ხელმძღვანელი: ფებრიან ნიშანთჰან აჰიშთან (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისურენოვანი) სტუდენტი)
1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში):
1.3 პირადი ნომერი: პასპორტის ნომერი -
1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ზურაბ გორგილაძის ქუჩა N98, ბათუმი
1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური: +9
ელ.ფოსტა

2. **პროექტის შესახებ**
2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): „Gather 2gether“ 2
2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2024 წლის 18 აპრილი

2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2024 წლის 30 ივნისი
2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 7 858 ლარი
2.5 თანადაფინანსება: 0
2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 7 858 ლარი
3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 პრობლემის განსაზღვრა: სტუდენტობა ყოველი ახალგაზრდისთვის ცხოვრების ახალი ეტაპია, რომელიც ახალ გარემოსთან, ახალ ურთიერთობებთან და გარკვეულ სირთულეებთან ასოცირდება. საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სრულად ჩართვისათვის მნიშვნელოვანია მათი ინტეგრირების ხარისხი. განსაკუთრებით, თუ საკითხი უცხოელ სტუდენტებს ეხება. ბსუ-ში დღითიდღე იზრდება უცხოელი სტუდენტების რაოდენობა, რომლებსაც სრულიად განსხვავებული სივრცე, კულტურა და ურთიერთობების შესაძლებლობები ხვდებათ. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შექმნას სათანადო გარემო, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მარტივად და აქტიურად ჩაერთოს სტუდენტურ ცხოვრებაში, გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, დაამყაროს ახალი ურთიერთობები და შეიძინოს მეგობრები. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი მოტივაციით ჩამოვედი ბსუ-ში განათლების მისაღებად მეც, როგორც უცხოელ სტუდენტს თავდაპირველად მქონდა გარკვეული პრობლემები, უცხო გარემოში ინტეგრირებასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ ამ სირთულეებს განსაზღვრავს სტუდენტებს შორის ნაკლები კომუნიკაცია, ერთობლივი ღონისძიებებისა და პროექტების სიმცირე. ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო, როდესაც შემომთავაზეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტუდენტური პროექტების კონკურსის“ გამარჯვებული პროექტის „Gather2gether”-ში მონაწილეობა, რაზეც რა თქმა უნდა სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემთვის როგორც, ერთ-ერთი მონაწილისთვის, ეს პროექტი იქცა მნიშვნელოვან აქტივობად, რომელმაც დამეხმარა ინტეგრაციასა და ქართველი მეგობრების შეძენაში. სწორედ ეს გახდა ამ პროექტის მომზადების და წარდგენის მთავარი მოტივაცია. მსურს რომ მსგავსი შესაძლებლობა მიეცეთ სხვა სტუდენტებსაც, რაც ხელისშემწყობი ფაქტორი იქნება უცხო გარემოში მათი ინტეგრირებისა და საგანმანათლებლო პროცესში ეფექტურად ჩართვის. მომწონს საქართველო, ბათუმი, ბსუ და ვფიქრობ აუცილებლად უნდა ეზიარო იმ ქვეყნის და ქალაქის კულტურას, ისტორიას და წეს- ჩვეულებებს, შეიძინო მეგობრები სადაც ექვსი წელი ცხოვრობ და სწავლობ. წინა პროექტში უცხოელი სტუდენტებიდან მხოლოდ 20 უცხოელი სტუდენტი მონაწილეობდა, ახლა კი სურვილი მაქვს ეს პროექტი იყოს უფრო მასშტაბური და რაც შეიძლება უფრო მეტ ქართველ და უცხოელ სტუდენტს ჰქონდეს მასში მონაწილეობის მიღების საშუალება. ასევე, ეს იქნება წინამდებარე პროექტის „Gather2gether”-ის ერთგვარი გაგრძელება და მისი ს იქნება „Gather2gether” 2 ვიმედოვნებ, რომ ასეთ ერთობლივი პროექტები სისტემატურ სახეს მიიღებს. პროექტი შინაარსობრივად საგანმანათლებლო/ კულტურულ-შემოქმედებით ხასიათს ატარებს, რომლის მთავარი არსი სტუდენტთა კომუნიკაცია და დაახლოებაა. კულტურისა და ხელოვნების ენა, სახალისო აქტივობები, ჯგუფური მუშაობები და რაც მთავარია თავისუფალ გარემოში კომუნიკაცია არის საუკეთესო გზა კულტურათა შორის კომუნიკაციის და საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებისთვის, რომლის გარანტიც არსებული პროექტი იქნება. მოკრძალებულად აღვნიშნავ, რომ გამარჯვების შემთხვევაში

უცხოელი სტუდენტის მიერ წარდგენილი პროექტის განხორციელება პირველი პრეცედენტი იქნება ბსუ-ში და ასევე, სიმბოლური - სტუდენტთა გაერთიანებისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით

3.2 მიზანი: პროექტის უმთავრესი მიზანია უცხოელი და ქართველი სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში ადაპტირება, დაახლოება და ინტეგრაცია. უნივერსიტეტში სათანადო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მარტივად და აქტიურად ჩაერთოს სტუდენტურ ცხოვრებაში, გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, დაამყაროს ახალი ურთიერთობები და შეიძინოს მეგობრები

3.3 ამოცანები: • საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით კულტურათა შორის კომუნიკაციის გაზრდის ხელშეწყობა • სტუდენტთა ორგანიზებით და ჩართულობით სხვადასხვა ერთობლივი აქტივობების ჩატარება • BSU_FEST_2024" ფესტივალის ორგანიზება და ჩატარება

3.4 განხორციელების გზები: • პროექტის განხორციელებას ორგანიზებას გაუწევს მოხალისეთა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება თხუთმეტი უცხოელი და ქართველი სტუდენტისგან; • მონაწილეების რეგისტრაციისთვის შეიქმნება ,,google forms'', რომელიც გავრცელდება სოციალური ქსელების, ჯგუფების და ბსუ-ს სტუდენტური პორტალის დახმარებით; • სწრაფი ჭადრაკის ჩატარებაში დახმარებას გაგვიწევს საჭადრაკო კლუბი „ნონა"; • საკონკურსო კომისიის მიერ გამარჯვებულების გამოვლენა; • ვიდეორგოლის მომზადება; • შემაჯამებელი ღონისძიება - ფესტივალი ჩატარდება ორ ნაწილად. პირველი ნაწილი - უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, ხოლო მეორე - უნივერსიტეტის ეზოში (საჭიროებები - პატარა სცენა, პუფები, დინამიკები, მიკროფონი, ჩინური გირლანდები). • ფესტივალს გაამრავალფეროვნებს ,,Platina group'' (მიმები, ოჩოფეხები, ცეცხლოვანი შოუ, განათებების შოუ და ფეიერვერკი) და მოწვეული DJ).

4. პროექტის განხორციელების გეგმა - გრაფიკი (შესრულების გეგმა) – 2024 წლისთვის

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე
ეტაპი 1							
1	პოსტერების კონკურსის გამოცხადება	აპრილი					
2	ფოტო კონკურსის გამოცხადება	აპრილი					
3	სწრაფი ჭადრაკის შეჯიბრებაში მონაწილეთა რეგისტრაცია და ღონისძიების ჩატარება		მაისი				
4	პოსტერების კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენა		მაისი				
5	ფოტოკონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენა		მაისი				

ეტაპი 2							
1	ვიდეორგოლის მომზადება			ივნისი			
2	„BSU_FEST_2024”			ივნისი			

5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები

6. მოსალოდნელი შედეგები: ქართველი და უცხოელი სტუდენტების ერთობლივი ჩართულობით სხვადასხვა აქტივობების მომზადება, ფესტივალის ორგანიზება და ჩატარება, კულტურათა შორის კომუნიკაცია ხელს შეუწყობს მათ საუნივერსიტეტო სივრცეში ადაპტაციის გამარტივებას, დაახლოებასა და ინტეგრაციას. პროექტის ორგანიზებასა და განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს ბსუ-ს 700- მდე სტუდენტი, რაც თითოეულ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მარტივად და აქტიურად ჩაერთოს სტუდენტურ ცხოვრებაში, გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, დაამყაროს ახალი ურთიერთობები და შეიძინოს მეგობრები. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს, ასევე ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები, რაც ღონისძიებას კიდევ უფრო ფართო მასშტაბს მისცემს

7. მონიტორინგი: პროექტით გათვალისწინებული კონკურსის შედეგების შემფასებელთა ჯგუფში ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და ბსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლების ჩართულობა, პროექტის მასშტაბურობისა და მონაწილე სტუდენტთა რაოდენობრივი შეფასება

8. შეფასება: პროექტის ორგანიზებისა და ჩატარების ხარისხიანობის შეფასება, მისი მასშტაბიდან და პროცესში ჩართული სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებლიდან გამომდინარე. პროექტში ბსუ-ს სტუდენტებთან ერთად განსაზღვრულ ეტაპზე მონაწილეობას მიიღებს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები, რაც საფუძველი იქნება იმისთვის, რომ მომავალში ბსუ-ს სტუდენტების მიერ განხორციელებულ პროექტებში ჩაერთოს ბათუმში არსებული სხვა უმაღლესი სასწავლებლები და ახალგაზრდული ორგანიზაციები, რაც კიდევ უფრო მასშტაბურს გახდის ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებს და ხელს შეუწყობს

ქართველი და უცხოელი სტუდენტების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას, ერთობლივი პროექტების განხორციელებას და ბსუ-ს პოპულარიზაციას

სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

	პროექტის დასახელება - „Gather 2gether“ 2			
	პროექტის მოკლე აღწერა - პროექტი შინაარსობრივად საგანმანათლებლო/ კულტურულ-შემოქმედებით ხასიათს ატარებს, რომლის მთავარი არსი სტუდენტთა კომუნიკაცია და დაახლოებაა. კულტურისა და ხელოვნების ენა, სახალისო აქტივობები, ჯგუფური მუშაობები და რაც მთავარია თავისუფალ გარემოში კომუნიკაცია არის საუკეთესო გზა კულტურათა შორის კომუნიკაციის და საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებისთვის, რომლის გარანტიც არსებული პროექტი იქნება. მოკრძალებულად აღვნიშნავ, რომ გამარჯვების შემთხვევაში უცხოელი სტუდენტის მიერ წარდგენილი პროექტის განხორციელება პირველი პრეცედენტი იქნება ბსუ-ში და ასევე, სიმბოლური - სტუდენტთა გაერთიანებისა და ინტეგრაციის თვალსაზრისით. პროექტ „Gather2gether" 2-ში სხვადასხვა ეტაპზე ჩაერთვება ქართველი და უცხოელი სტუდენტების სხვადასხვა რაოდენობა, რადგანაც პროექტი მოიცავს რამდენიმე აქტივობას. პროექტი „Gather 2gether“ 2 მოიცავს შემდეგ ეტაპებს: • ,,ინტეგრაცია და მიმღებლობა" - პოსტერების კონკურსი, მონაწილეობა შეეძლებათ მაქსიმუმ 3 სტუდენტისგან დაკომპლექტებულ გუნდებს. გუნდში უნდა იყოს მინიმუმ ერთი უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტი ან ერთი ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტი (დაჯილდოვდება სამი გამარჯვებული გუნდი); • ,,ჭკვიანი და სწრაფი" - შეჯიბრება სწრაფ ჭადრაკში, მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა დაინტერესებულ სტუდენტს. ორგანიზებაში დახმარებას გაგვიწევს საჭადრაკო კლუბი „ნონა“ (დაჯილდოვდება სამი გამარჯვებული); • „მრავალფეროვნება რეალურ ცხოვრებაში“ - ფოტო კონკურსი (დაჯილდოვდება სამი გამარჯვებული); • პროექტის ფარგლებში მომზადდება ვიდეო-რგოლი სადაც პროგრამის უცხოელი სტუდენტები ისაუბრებენ იმ ბარიერებზე რაც სხვა ქვეყანაში ცხოვრებას სდევს თან და თუ როგორ ცდილობს ჩვენი უნივერსიტეტი ამ პრობლემის მოგვარებას; პროექტის ბოლოს გაიმართება ფესტივალი სახელწოდებით „BSU_FEST_2024". ფესტივალში იქნებიან ჩართულნი უნივერსიტეტის ქართველი და უცხოელი სტუდენტები, მოსწავლეები, უნივერსიტეტის ბენდი, „თირინი“, „ტბეთი“ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები. ქართველი და უცხოელი სტუდენტების მიერ შესრულდება სხვადასხვა მუსიკალური ნომრები. სტუდენტები ფესტივალის მონაწილეებს გააცნობენ თავიანთი ქვეყნის კულტურას. თითოეული ქვეყნის წარმომადგენელს ექნება საშუალება მათთვის განსაზღვრულ კუთხეში წარმოადგინონ თავიანთი ქვეყანა (მეჰენდით ხელის მოხატვა, სხვადასხვა კულტურის დამწერლობის გაცნობა, განმასხვავებელი ნივთები და კერძები, ტრადიციული ტანისამოსი და სხვა). ასევე, ფესტივალზე გამოყენებული იქნება ინდური დღესასწაულის "ჰოლის" ფერები. ფესტივალს გაამრავალფეროვნებს - მიმები, ოჩოფეხები, ცეცხლოვანი შოუ, განათებების შოუ და ფეიერვერკი. ფესტივალის ბოლოს განწყობაზე იზრუნებს DJ;			

N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა (ლარი)	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად		
						ივნისი		
1	დახლები (განათებით, მონტაჟი, ტრანსპორტირება)	10 დახლი	700	სტუდენტებს ექნებათ სივრცე თავიანთი ქვეყნის კულტურული ნივთების გამოფენისთვის	სტუდენტთა დაინტერესების მაჩვენებლი	+		
2	ეზოს განათება	განათების 6 ზოლი უნივერსიტეტის ეზოსთვის	1500	ფესტივალის მეორე ეტაპისთვის საჭირო გარემოს შექმნა უნივერსიტეტის ეზოში	სტუდენტთა კმაყოფილება	+		
3	სერთიფიკატები	20 სერთიფიკატი	46	ჭადრაკის, პოსტერების და ფოტო კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცემათ კონკურსში მიღწეული წარმატების დასადასტურებლად	სტუდენტთა კმაყოფილება	+		
4	ფესტივალის ლოგოთი ბრენდირებული მაისურები	15 ცალი	525	დაეხმარება ფესტივალზე მოსულ სტუმრებს მარტივად ამოიცნონ ორგანიზატორები და შეკითხვის ან პრობლემის შემთხვევაში მიმართონ მათ.	სტუდენტთა კმაყოფილება	+		
5	ფესტივალის ლოგოთი გაფორმებული ჩარჩო სურათების გადასაღებად	2 ცალი	50	ფესტივალის მეორე ეტაპისთვის საჭირო გარემოს შექმნა უნივერსიტეტის ეზოში	სტუდენტთა დაინტერესების მაჩვენებლი	+		
6	ფერადი კვამლი	15 ცალი	90	ფესტივალის მეორე ეტაპისთვის საჭირო გარემოს შექმნა უნივერსიტეტის ეზოში	სტუდენტთა კმაყოფილება	+		
7	A4 ფორმატის ფურცლები	1 შეკვრა	15	ფესტივალის წარმატებით ჩატარება	სტუდენტთა კმაყოფილება	+		
8	გუაშები	2 შეკვრა	20	ფესტივალის წარმატებით ჩატარება	სტუდენტთა კმაყოფილება	+		

9	ფუნჯები	2 შეკვრა	20	ფესტივალის წარმატებით ჩატარება	სტუდენტთა კმაყოფილება	+		
10	ბუშტები	300 ლურჯი და 100 წითელი, დაგვჭირდება	80	ფესტივალის მეორე ეტაპისთვის საჭირო გარემოს შექმნა უნივერსიტეტის ეზოში (კონსტრუქცია BSU გული-სთვის)	სტუდენტთა დაინტერესების მაჩვენებლი	+		
11	პრიზები გამარჯვებულთათვის (წიგნები)	15 გამარჯვებულის დაჯილდოება	800	კონკურსებში გამარჯვებული მონაწილეების წახალისება და მათი შრომის დაფასება (გვეყოლება 3 გამარჯვებული ჭადრაკში, 9 გამარჯვებული პოსტერების კონკურსში და 3 გამარჯვებული ფოტო კონკურსში).	სტუდენტთა კმაყოფილება	+		
12	მედალი	3 ცალი	12	ჭადრაკში - I, II და III ადგილზე გასული მონაწილეებისთვის	სტუდენტთა კმაყოფილება	+		
13	DJ (აპარატურით)	2:30 – 3:00 საათიანი პროგრამა	1000	ფესტივალის მეორე ეტაპისთვის საჭირო გარემოს შექმნა უნივერსიტეტის ეზოში	სტუდენტთა დაინტერესების მაჩვენებლი	+		
14	ფესტივალის პროგრამა "PLATINA GROUP"	მიმები, ოჩოფეხები, წამყვანი, ცეცხლის შოუ, ნეონ (განათებების შოუ + ფოიერვერკ შოუ)	3000	ფესტივალის მეორე ეტაპისთვის საჭირო გარემოს შექმნა უნივერსიტეტის ეზოში	სტუდენტთა დაინტერესების მაჩვენებლი	+		

„2024 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 12 **აპრილის N**01-18/125 **ბრძანების**

N2 დანართი

2024 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის სახელწოდება: ლიდერთა ბანაკი

სტუდენტური პროექტის ავტორი: ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **ირაკლი კეშელავა**

პროექტის ბიუჯეტი: 12 400 ლარი

პროექტის ID: 101
რეგისტრაციის დრო: 2024 წლის 29 მარტი, 17:55:00
პროექტის ტიპი: საგანმანათლებლო

1. განმცხადებელი
1.1 პროექტის ხელმძღვანელი: ირაკლი კეშელავა (ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი)
1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში): სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ბსუ
1.3 პირადი ნომერი:
1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N 48
1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური:
ელ.ფოსტა: i m

2. პროექტის შესახებ
2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): ლიდერთა ბანაკი
2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2024 წლის 20 აპრილი

2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2024 წლის 30 აგვისტო
2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 12 400 ლარი
2.5 თანადაფინანსება: 0
2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:12 400 ლარი
3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 პრობლემის განსაზღვრა: მოგეხსენებათ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს უჭირთ მასშტაბური აქტივობების ორგანიზება და განხორციელება. ხშირად ისინი დახმარებისთვის მიმართავენ ან ბსუ-ს ადმინისტრაციას ან გარე ორგანიზაციებს (მათ შორის NGO სექტორს). ეს ყოველივე კი გამოწვეულია წარმატებული (სწავლაში/კარიერაში) და აქტიური (სტუდენტურ ცხოვრებაში) სტუდენტების თანამშრომლობის ხარისხის სისუსტით ან არარსებობით. ხშირად სხვადასხვა სტუდენტები საკუთარი ინიციატივით ახორციელებენ აქტივობებს, მაგრამ იმის გამო რომ სხვა სტუდენტები (სხვა პროგრამის სტუდენტების და/ან სხვა ფაკულტეტის სტუდენტები) ნაკლებად არიან ჩართულნი როგორც ორგანიზებაში ასევე უბრალოდ მონაწილეობაში შესაბამისი ღონისძიებები იმ ხარისხით ვერ ხორციელდება რა მიზნებიც და მოლოდინიც ჰქონდათ შესაბამისი აქტივობის განმხორციელებლებს. ბსუ-ში არის სხვადასხვა სტუდენტური გაერთიანებები, მათ შორის სტუდენტური თვითმმართველობა, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, სტუდენტური კლუბი რუსთაველი, ლიტერატურული კლუბი, რა სად როდის კლუბი, დებატ-კლუბი და სხვა, სადაც ეს აქტიური/წარმატებული სტუდენტები არიან ჩართული, მაგრამ იმის გამო რომ ერთმანეთთან ნაკლები კავშირი აქვთ (სასწავლო ან პირადი) ვერ ახერხებენ როგორც ერთმანეთის მხარდაჭერას, ასევე ერთობლივად აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას. პროექტის, ლიდერთა ბანაკის ძირითადი იდეა გახლავთ შესაბამისი სტუდენტების (როგორც სწავლაში ასევე სტუდენტურ ცხოვრებაში) გამოვლენა, გაერთიანება (სოციალიზაცია/დამეგობრება) და ისეთი უნარების გაზიარება/სწავლება, რომელიც დამატებით დაეხმარებათ როგორც ბსუ-ში ასევე მის ფარგლებს გარეთ ორგანიზებული და მასშტაბური ღონისძიების განხორციელებაში. აღნიშული პროექტის ქვე-იდეა ასევე გახლავთ სტუდენტებში იმ სტერეოტიპების დამსხვრევა რაც სიტყვა ლიდერთან ასოცირდება. კერძოდ ლიდერობა ხშირად ახალგაზრდებში მხოლოდ ბიუროკრატიას/დაქვემდებარებას/ხელმძღვანელობას გულისხმობს და არა იმ ფუნდამენტურ უნარებს რომელიც საქმის/აქტივობის პროფესიონალურ გაძღოლას, ინტეგრაციას, ინკლუზიას და სხვა მსგავს პოზიტიურ ცნებებთან ასოცირდება.

3.2 მიზანი: უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე კარგად ვიცით, რომ ბსუ-მ უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი სოციალური როლი რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძოდ: ჩვენ დავისახეთ მიზნად, გავზარდოთ ჩვენი უნივერსიტეტის ცნობიერება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ევროპული ინსტიტუტების და ღირებულებების შესახებ, სტუდენტები განავითარებენ ლიდერული უნარ-ჩვევებს, რომლებიც მნიშვნელოვანია რათა იყვნენ წარმატებული თავიანთ საქმეში, შეიძინონ ახალი მეგობრები, გაეცნონ ახალ სამუშაო გარემოს, ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და მათ სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებას. პროექტის ძირითადი მიზნები გახლავთ:

1. წარმატებული და აქტიური სტუდენტების გამოვლენა და სოციალიზაცია (ერთობლივ პროექტში მონაწილეობა);
2. გავუზიაროთ/ვასწავლოთ ახალგაზრდებს მიიღონ თანამედროვე, მაღალი ხარისხის განათლება და გამოცდილება, რომელიც მათ სამომავლოდ ხელს შეწყობს პროფესიულ ორიენტაციაში.
3. გაიღრმავონ კრიტიკული, ანალიტიკური და ლიდერული უნარ-ჩვევები, დაეუფლონ საჯარო გამოსვლების და მოლაპარაკებების ხელოვნებას.
4. იმუშავონ საქართველოში მიმდინარე ყველაზე აქტუალურ/პრობლემატურ საკითხებზე, შეიმუშაონ საკუთარი გადაჭრის გზები გლობალური პრობლემებისა.
5. არსებული პროექტის მიზანია უნივერსიტეტში განხორციელებული პროექტი იყოს ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის. სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელსა და მკვლევარს შორის ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთის მხარდაჭერას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას,
6. სტუდენტი ისწავლის თუ როგორ იურთიერთოს სწორად უნივერისტეტის აკადემიურ პერსონალთან და პროფესორ-მასწავლებლებთან.

3.3 ამოცანები: პროექტის ამოცანაა უნივერსიტეტმა უნდა აღმოაჩინოს, წარმოაჩინოს და წინსვლაში დაეხმაროს ახალგაზრდა ლიდერებს, რომელთაც შესწევთ უნარი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში, მოგეხსენებათ უნივერისტეტის ერთ-ერთი ამოცანაა საკონკურსო პროექტების გამართულად შედგენისა და განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ექსპერტების მოწვევა და ტრენინგების ჩატარება ჩვენი უმთავრესი ამოცანა და მიზანია, ახალგაზრდებს მაქსიმალურად მივცეთ შესაძლებლობა იყვნენ არაფორმალურ აქტივობებში, ჩართულნი, განავითარონ მათი ლიდერული უნარ-ჩვევები, რომლებიც ფაქტობრივად განსაზღვრავს მათ ნათელ მომავალს. პროექტის ფარგლებში ჩვენი ამოცანაა ახალგაზრდებს სრულფასოვნად მივაწოდოთ მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაცია.

3.4 განხორციელების გზები: განხორციელ ების გზები: ტრენინგი მოიცავს : საჯაროდ გამოსვლის ტექნიკას, სხეულის ენა, პრეზენტაციის და კომუნიკაციის ტექნიკას, დროის მენეჯმენტს, ტრენინგს გაუძღვება კვალიფიციური ტრენერი, ტრენინგში მონაწილეობას მიიღებს კონკურსის წესით არჩეული 20 სტუდენტი, ტრენინგის ხანგრძლივობა იქნება 3 დღე, შემდეგ თემებზე:

- პროექტების წერა,
- სამოქალაქო ჩართულობა,
- ლიდერობა - ლიდერული უნარჩვევები,
- კონფლიქტის მართვა,
- ეფექტური კომუნიკაცია,
- საჯარო გამოსვლა და პრეზენტაცია,
- სოციალური მედია,

• ეტიკეტი და პროტოკოლი,

ტრენინგზე მიღებული ცოდნის საფუძველზე სტუდენტების ფუნქცია იქნება გაეცნონ: საჯარო გამოსვლებისა და პრეზენტაციების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიის წინაშე ჩატარების ტექნიკას, დახვეწონ მეტყველება, დაეუფლონ სხეულის ენას. სასერტიფიკატო კურსის განმავლობაში მსმენელები დაეუფლებიან გამოსვლის უნარებს, მეტყველების, სხეულის ენის, ვიზუალისა და იმიჯის კუთხით, განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები, რომელშიც აქტიურად იქნებიან თავად ჩართულები, ტრენინგები ჩატარდება ქალაქგარეთ, ტრენინგების დასრულების შემდგომ აირჩევა 5 გამორჩეული სპიკერი და დაფუძნდება მომავალ ლიდერთა კლუბი,მოხდება განსახორციელებელ საგანმანათლებლო აქტივობათა წარმოდგენა , მაგალითად: λ ქვეყანაში მიმდინარე აქტიური პროცესები ევროკავშირის შესახებ λ საინფორმაციო შეხვედრები ნატოს შესახებ λ საინფორმაციო შეხვედრები გაეროს შესახებ მოწვეული პირები გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას სტუდენტებს იქნებიან: გიორგი ქათამაძე, მერაბ ხალვაში, დავით გაბაიძე, თამარ გაბაიძე, ლადო მკერვალიშვილი. ქვემოთ მოცემულია კონკრეტული ეტაპები, რომელთაც თანმიმდევრულად განვახორციელებთ

1. ეტაპი სასწავლო პროგრამისთვის ელექტრონული განაცხადის ან რეგისტრაციის ფორმის შემუშავება, დაინტერესებული სტუდენტების განაცხადების საფუძველზე. სტუდენტები შეფასდება სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ.

2. ეტაპი მონაწილეების მოწვევა და მომზადება, : შერჩეულ მონაწილეები ტრენინგ პროგრამაში მიღების შესახებ ელექტრონული ფოსტით ან ტელეფონით მიიღებენ ინფორმაციას, მიეწოდებათ მათ დეტალები პროგრამის განრიგის, ადგილისა და ნებისმიერი დავალების შესახებ

3. ეტაპი ტრენინგი დღე 1: ტრენინგის პირველი დღის პირველ ნაწილს ექნება გაცნობითი ხასიათი, მოწვეული სპიკერები და მოწვეული პირები ისაუბრებენ პროექტის გარშემო ზოგად ჭრილში, ხოლო მეორე ნახევარი კი უშუალოდ დაეთმობა ტრენინგის მიმდინარეობას აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით: " პროექტების წერა; " სამოქალაქო ჩართულობა; " ლიდერობა-ლიდერული უნარჩვევევბი; " კონფლიქტების მართვა; საღამო კი დატვირთული იქნება სხვადასხვა სახის ინტელექტუალური თამაშებით. ტრენინგი დღე 2: მეორე დღის დილის საათებიდან დაიწყება ტრენინგ კურსი სრული დატვირთვით შემდეგ თემებზე: " ეფექტური კომუნიკაცია " საჯარო გამოსვლა და პრეზენტაცია " სოციალური მედია " ეტიკეტი და პროტოკოლი. ასევე, განხორციელდება თეორიული და პრაქტიკული მაგალითები რომელიც გასტანს დღის მეორე ნახევრამდე . ტრენინგი დღე 3: დასკვნით ეტაპზე სტუდენტებს ექნებათ ტრენინგის მეორე დღეს, სპიკერის მიერ მიცემული დავალების პრეზენტაცია. ასევე გამოვლინდება ტოპ ხუთი სპიკერი ტრენერის მიერ და ყველა მონაწილეს გადეცემა სერტიფიკატი. დაჯილდოების სერთიფიკატები და პრიზები : დახურვის ცერემონიაზე, დაურიგდება მონაწილეობის სერთიფიკატები , მიიღებენ ჯილდოებსა და პრიზებს სხვადასხვა კატეგორიებში, როგორიცაა მაგალითად საუკეთესო სპიკერი... შეფასდება მონაწილეთა პროგრესი , შეირჩევა 5 საუკეთესო სპიკერი და ჩამოყალიბდება მომავალ ლიდერთა კლუბი, კლუბის ფარგლებში კი განხორცილედბება მრავალი საგანმანათლებლო აქტივობა.

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა) – 2024 წლისთვის

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე
ეტაპი 1							
1	ორგანიზატორთა ძიება/აპლიკაციის ჩაშვება	+					
2	ორგანიზატორთა გადახარისხება	+					
3	ორგანიზატორებთან გასაუბრება	+					
4	ორგანიზატორთა გადამზადება	+					
ეტაპი 2							
1	მონaწილეთა რეგისტრაციის აპლიკაციის ჩაშვება	+					

2	მონაწილეთა გადახარისხება/გადარჩევა	+					
ეტაპი 3							
1	ტრენინგი დღე 1	+	+				
2	ტრენინგი დღე 2	+	+				
3	ტრენინგი დღე 3	+	+				
ეტაპი 4							
1	მონაწილეთა დაჯილდოება (საუკეთესო სპიკერთა გამოვლენა)	+					
ეტაპი 5							

1	საინფორმაციო შეხვედრების ციკლი (აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე)	+	+	+	+		

5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: პროექტის ბენეფიციარები იქნებიან ბათუმი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

6. მოსალოდნელი შედეგები: -მონაწილეები შეიმუშავებენ ეფექტურ ვერბალურ და არავერბალურ კომუნიკაციის ტექნიკას, რაც მათ საშუალებას მისცემს გამოხატონ თავიანთი იდეები მკაფიოდ, ლაკონურად და თავდაჯერებულად.-პრაქტიკისა და გამოხმაურების მეშვეობით მონაწილეები დახვეწენ თავიანთი პრეზენტაციის წარმოდგენის უნარებს, სხეულის ენას და ვიზუალური საშუალებების გამოყენებას, რაც გამოიწვევს მიმზიდველ და გავლენიან პრეზენტაციებს მთლიანობაში, პროექტის წარმატებული განხორციელება საშუალებას მისცემს მონაწილეებს გახდნენ თავდაჯერებული, და გავლენიანი კომუნიკატორები, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად ჩაერთონ აუდიტორიაზე, მოლაპარაკების შედეგებზე და მიაღწიონ წარმატებას მათ აკადემიურ, პროფესიულ და პირად სივრცეში. პროექტისგან ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა სხვადასხვა თემაზე და შეუძლიათ განივითარონ და გაამდიდრონ შესაბამისი უნარ-ჩვევები. პროექტის წარმატებას განსაზღვრავს ისიც, რომ ახალგაზრდები მიიღებენ მნიშნველოვან ინფორმაციას მათთვის საჭირო თემების შესახებ.

7. მონიტორინგი: პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც ვიცით პროექტი გრძელდება რამდენიმე თვეს, რომელიც განხორციელდება ჩვენს უნივერსიტეტში. პროექტს მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, რომელთაც ჩვენ მივაწვდით საბოლოო ანგარიშს ფოტომასალის სახით.

8. შეფასება: ჩვენ განსაზღვრული გვაქვს წინასწარ ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავენ თუ რა იქნება წარმატების ძირითადი მაჩვენებელი ესენია:

1. ჩართული სტუდენტების, სამომავლოდ მიღებული ცოდნის საუნივერსიტეტო სივრცეში გამოყენება;
2. ახალგაზრდები სამომავლოდ თვითონ იქნებიან სხვადასხვა ლიდერული პროექტების ხელმძღვანელები და ავტორები
3. სტუდენტებს გაუჩნდებათ სურვილი განახორციელონ და აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას შეუერთდნენ სწორედ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები, იქნება ჩვენი პროექტის შეფასების საშუალება, რისთვისაც ჩემი გუნდი და მე მზად ვართ მუხლჩაუხრელად ვიმუშავოთ!

სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

	პროექტის დასახელება - ლიდერთა ბანაკი								
	პროექტის მოკლე აღწერა					ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად			
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების / ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა (ლარი)	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო
1	საკანცელარიო ნივთები	საკანცელარიო საშუალებები	400	დელეგატებისა და ხელმძღვანელების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა.	იქნებიან დელეგატები და ხელმძღვანელები 100%-ით უზრუნველყოფილი შესაბამისი საჭიროების ნივთებითა და პირობებით.	+	+	+	
2	ფურშეტი	ტრენინგებს შორის ფურშეტი პროექტის მონაწილეებისთვის	2000	ფურშეტის მთავარი მიზანია დამღლელი დღის გახალისება. ახალაი ენერგიით აივსებიან პროექტის მონაწილენი და გახალისდებიან!	მათი მუშაობის პროცესი ნაყოფიერი იქნება, ისინი გახსნილად და გონიერად იაზროვნებენ და მათი განწყობაც და შეხედულებებიც ერთიორად ამაღლდება!	+	+	+	

3	სტუდენტთა განთავსება/ სასტუმრო/ კვება/ გზის ანაზღაურება	გასვლითი ღონისძიებისთვის პროექტის მონაწილეების განთავსება და კვება	9000	მოცემულ თანხაში მოწვეული სტუმრები იქნებიან უზრუნველყოფილი სასტუმროთი და ერთჯერადი კვებით	მონაწილეებს აუმაღლდებათ განწყობა და ისინი სამომავლოდ შეეცდებიან მსგავს პროექტებში ხშირად მიიღონ მონაწილეობა.	+	+	+	
5	სტუდენტების შრომის ანაზღაურება	პროექტზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის შრომის ანაზღაურება.	1000	ახალგაზრდები იქნებიან მოტივირებული და პირნათლად შეასრულებენ მასზედ დაკისრბული მოვალეობანს					+

„2024 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 12 **აპრილის N** 01-18/125 **ბრძანების**

N3 დანართი

2024 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის სახელწოდება: მოტივARTორი

სტუდენტური პროექტის ავტორი: ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **იური აზაროვი**

პროექტის ბიუჯეტი: 1610 ლარი

პროექტის ID: 97
რეგისტრაციის დრო: 2024 წლის 29 მარტი, 15:34:34
პროექტის ტიპი: კულტურული

1. განმცხადებელი
1.1 პროექტის ხელმძღვანელი: იური აზაროვი (ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი)
1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში):
1.3 პირადი ნომერი: [redacted]
1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა N111 ბინა N165
1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური: [redacted]
ელ.ფოსტა: [redacted]

2. პროექტის შესახებ
2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): მოტივARTორი
2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2024 წლის 15 აპრილი

2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2024 წლის 31 ივლისი
2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 1610 ლარი
2.5 თანადაფინანსება: 0
2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 1610 ლარი
3. პროექტის/ინიციატივის აღწერა
3.1 პრობლემის განსაზღვრა: ბსუ-ში არიან ხელოვანი (მხატვარი) სტუდენტები რომლებსაც ესაჭიროებათ საკუთარი ნიჭის/უნარის რეპრეზენტაბელობა. ისინი ხშირ შემთხვევაში მონაწილეობას იღებენ ყოველწლიურ გამოფენებში და ხშირად მათი ნახატები რამდენიმე დღით გამოიფინება უნივერსიტეტში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მათი უნარების ფართო საზოგადოებაში უკეთ წარდგენისთვის. პროექტი მოტივARTორი მთავარი იდეა გახლავთ ბსუ-ს სტუდენტების (მხატვრების) მიერ წარმატებული ბიზნესმენების პორტრეტების დახატვე, პორტრეტზე ამავე პირების ისეთი გამონათქვამების დატანა, რომელიც სტუდენტებს უბიძგებს აღმოაჩინონ საკუთარ თავში წარმატების ფორმულა. გვერდზე გადადონ სიზარმაცე და სხვა მანკიერი ჩვევები, ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობების და დაიწყონ უკეთესად სწავლა, პროექტებსა და ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობა.

3.2 მიზანი: პროექტის მიზნებს წარმოადგენს: 1. ბსუ-ში ნიჭიერი მხატვრების გამოვლენა; 2. სუდენტთა მოტივაციის ზრდა სხვა წარმატებული ადამიანების ისტრიის გაზიარების გზით; 3. წარმატებული ბიზნესმენების (ბიზნესვუმენების) პორტრეტების (მათზე დატანილი სამოტივაციო ტექსტებით) განთავსება ბსუ-ს შენობაში, ინტერიერის გამრავალფეროვნება;

3.3 ამოცანები: აღნიშნული მიზნების მისაღწევად დასახული გვაქვს შემდეგი ამოცანები: 1. ბსუ-ში ნიჭიერი მხატვრების გამოვლენისთვის სტუდენტთა ნამუშევრების (ნახატების) კონკურსის ჩატარება; 2. წარმატებული ბიზნესმენების (ბიზნესვუმენების) პორტრეტების (მათზე დატანილი სამოტივაციო ტექსტებით) დახატვა; 3. ნახატების გამოფენის ორგანიზება და გამარჯვებულების გამოვლენა

3.4 განხორციელების გზები: I. ბსუ-ში ნიჭიერი მხატვრების გამოვლენისთვის სტუდენტთა ნამუშევრების (ნახატების) კონკურსის ჩატარებისთვის ინფორმაციას განვათავსებთ სოციალურ გვერდებსა და სტუდენტურ პორტალზე. აღნიშნულ კონკურსში ჩართული იქნებიან ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ლექტორები და ბათუმელი მხატვრები.; II. წარმატებული ბიზნესმენების (ბიზნესვუმენების) პორტრეტების (მათზე დატანილი სამოტივაციო ტექსტებით) შერჩევის მიზნით უშალო დახმარებას ვთხოვ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, რათა იმ სიას რომელც თანდართულ ფაილში გვაქვს წარმოდგენილი შევიტანოთ თუ არა ცვლილება; III. მოხდება ნახატების გამოფენის ორგანიზება პროექტის ფარგლებში ყველა მხატვარს გადაეცემა ფულადი ჯილდო შესრულებული ნახატის (პორტრეტის) შესაბამისად. მათ შორის გამოვლინდება I , II და III ადგილზე გასული სტუდენტები.

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა) – 2024 წლისთვის

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე
ეტაპი 1							
1	პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სტუდენტებში - ნიჭიერი მხატვრების შერჩევა	აპრილი	მაისი				
2	წარმატებული ბიზნესმენების (ბიზნესვუმენების) პორტრეტების შერჩევა და დაზუსტება	აპრილი მაისი					
ეტაპი 2							
1	შერჩეული მხატვრების მიერ პორტრეტების დახატვა		მაისი	ივნისი			
2	დახატული პორტრეტების გამოფენის გამართვა			ივნისი	ივლისი		

ეტაპი 3							
1	დახატული პორტრეტების განთავსება ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე				ივლისი		

5. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: ბსუ-ს სტუდენტების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები და ლექტორები; ბსუ-ში მყოფი ნიჭიერი მხატვრები (სტუდენტები)

6. მოსალოდნელი შედეგები: სტუდენტთა კმაყოფილება და მოტივაციის ამაღლება. 12 მხატვრის ნამუშევრის საზოგადოებისთვის წარდგენა

7. მონიტორინგი: მონიტორინგს გაუწევს როგორც სტუდენტური სამსახური ასევე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

8. შეფასება: ჩართულ მხატვართა რაოდენობა (მინიმუმ 12 მხატვარი). მინიმუმ 1000 სტუდენტი ნახავს შესაბამის პორტრეტებს და ისინი დაფიქრდებიან თუ როგორ შეიძლება შეცვალონ თავიანთი ცხოვრება უკეთესობისაკენ ერთი გადაწყვეტილების მიღებით

სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

	პროექტის დასახელება - მოტივARTორი											
	პროექტის მოკლე აღწერა											
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად						
						I	II	III	IV	V	VI	
1	საღებავი და სხვა სახის საშუალებები	საღებავი საშუალებები, ფუნჯები და სხვა	740	12 ნახატი	12 ცალი 60 ით 80 ზე სმ ზესრულფასოვანი ნახატი	აპრილი	მაისი					
2	ჩარჩო ნახატის	12 ცალი 60*80 ზე, ერთი ცალი 30	360	12 ნახატი ჩაღჩოთი	12 ცალი 60 ით 80 ზე სმ ზესრულფასოვან ნახატი ჩარჩოთი	აპრილი	მაისი					
3	ჯილდო გამარჯვებული სტუდენტებისთვის	I ადგ. 100, II ადგილი 80; III ადგილი 60 ლ. 9 სტუდენტს გადაეცემა ჯამში 270 ლარი, თითოეულს 30-30 ლ	510	სტუდენტთა კმაყოფილება	12 სტუდენტს მიეცემა მოტივაცია სამომავლოდ მიიღონ კონკურსებში მონაწილეობა			ივნისი	აგვისტო			

„2024 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 12 **აპრილის N** 01-18/125 **ბრძანების**

N4 დანართი

2024 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის სახელწოდება: უნივერსიტეტის დახმარება სკოლას STEM მეცნიერებების პოპულარიზაციაში

სტუდენტური პროექტის ავტორი: ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი **კახა კოტრიკაძე**

პროექტის ბიუჯეტი: 3 000 ლარი

პროექტის ID: 93
რეგისტრაციის დრო: 2024 წლის 22 მარტი, 23:18:05
პროექტის ტიპი: საგანმანათლებლო

1. **განმცხადებელი**
1.1 პროექტის ხელმძღვანელი: კახა კოტრიკაძე (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი)
1.2 გაერთიანების სახელი (გაერთიანების სახელით წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში):
1.3 პირადი ნომერი:
1.4 ფაქტიური მისამართი (საცხოვრებელი): ქ. ბათუმი, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა N64, ბინა N4
1.5 საკონტაქტო ინფორმაცია:
მობილური:)
ელ.ფოსტა: k

2. **პროექტის შესახებ**
2.1 პროექტის დასახელება (ქართულად) (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად): უნივერსიტეტის დახმარება სკოლას STEM მეცნიერებების პოპულარიზაციაში.

2.2 პროექტის დაწყების თარიღი: 2024 წლის 01 მაისი
2.3 პროექტის დასრულების თარიღი: 2024 წლის 01 ნოემბერი
2.4 ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა: 3000 ლარი
2.5 თანადაფინანსება:0
2.6 პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 3000 ლარი
3. პროექტის/ინიციატივის აღწერა

3.1 პრობლემის განსაზღვრა: განვითარებულ ქვეყნებში ხშირად საუბრობენ STEM განათლების აუცილებლობაზე და მის პერსპექტივებზე. STEM განათლება წარმოადგენს ქვეყნის განათლების ქვაკუთხედს, რადგან ის უზრუნველყოფს ყველა დარგის განვითარებას და ეკონომიკურ დოვლათს. STEM ნიშნავს მეცნიერების, ტექნიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის არა მხოლოდ გაერთიანებას, არამედ მათი სწავლების სრულყოფას. ის უზრუნვეყოფს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კომპლექსურ სწავლებას, შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მიიღონ გამოცდილება, დაუშვან შეცდომები, საკუთარი გამოცდილებებიდან გამოიტანონ დასკვნები და არ დაეყრდნონ მხოლოდ სახელმძღვანელოს. ასეთი ტიპის განათლება აყალიბებს ახალ თაობებს ისეთი უნარ- ჩვევებით, რომელიც არის კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე. STEM აქტივობები მოსწავლეებს უვითარებს მეწარმეობის კომპონენტებს და ხელს უწყობს ეკონომიკური იდეების რეალიზებისათვის ხელსაყრელ პირობების ადვილად დანახვასა და რეაგირებას. დღევანდელი მოსწავლე მომავალი სტუდენტია, რომელიც შემდგომში აქტიურად მიიღებს მონაწილეობას უნივერსიტეტის მესამე მისიის სკოლა-უნივერსიტეტი-წარმოება ურთიერთკავშირის განხორციელებაში, რაც განვითარებადი ქვეყნისათვის, ისეთი როგორიც საქართველოა წარმატებისა და ეკონომიკური წინსვლისათვის აუცილებელია. დღესდღეობით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტრადიციულ სწავლებაში პრაქტიკული და ექსპერიმენტული აქტივობების დეფიციტია. თანამედროვე განათლების ტიპის დამკვიდრება სკოლებში ერთჯერადი პრაქტიკული სამუშაოებით შეუძლებელია. საჭიროა ექსპერიმენტი იყოს მიზნობრივი, დროში გახანგრძლივებული, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფილი. საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში ჩვენი რეგიონის რამდენიმე სკოლის მოსწავლე და მასწავლებელი მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივ-მცენარეული ნედლეულის კვლევაში ისეთი აქტუალური მიმართულებით, როგორიცაა ბუნებრივი ეთერზეთების მიღება, ქიმიური კვლევა და არომათერაპიული პოტენციალის დადგენა. ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა ინტერესი ალტერნატიული და პროფილაქტიკური მედიცინის მიდგომების მიმართ. ბუნებრივმა ეთერზეთებმა და არომათერაპიამ დიდი ყურადღება მიიპყრო ჯანდაცვის მიმართულების მათი სამკურნალო-თერაპიული პოტენციალით. არომათერაპია არის პრაქტიკა, რომელიც დაფუძნებულია არომატული ბუნების სხვადასხვა ნაერთების, განსაკუთრებით ეთერზეთების გამოყენებაზე ადამიანის ფიზიოლოგიური და მენტალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იყენებდნენ ეთერზეთებს სამედიცინო, კოსმეტიკური და რელიგიური მიზნებით. თითოეულ ეთერზეთს აქვს თავისი უნიკალური ქიმიური შედგენილობა, არომატი და თერაპიული თვისებები. მაგალითად ლავანდის ზეთი ცნობილია თავისი დამამშვიდებელი თვისებებით, პიტნის ზეთი გამამხნევებელი და გამაგრილებელი არომატით, ჩაის ხის ზეთს აქვს ძლიერი ანტიმიკრობული თვისებები, რაც ეფექტურია

ბაქტერიების, სოკოებისა და ვირუსების საწინააღმდეგოდ. ევკალიპტის ზეთი ცნობილია თავისი გამაგრილებელი სურნელითა და ანტირესპირატორული ეფექტურობით და ა.შ. (Science Direct, Complementary therapies in clinical practice, 30/01/2024), (Science Direct, General Hospital Psychiatry, 15/08/2023), (PubMed Central, 26/05/2016). ბოლო წლების განმავლობაში გამოქვეყნდა სტატია სადაც ასახულია არომათერაპიის ეფექტურობა COVID-19-ის წინააღმდეგ (Science Direct, EXPLORE, 16/12/2023). მიუხედავად ამისა ალტერნატიული მედიცინის ეს დარგი ჯერჯერობით არ არის პოპულარული, კადრების დეფიციტისა და რეგულაციების არ არსებობსა ეთერზეთების ინდუსტრიაში(Aromatic Plant Research Centre, 20/03/2020). დღესდღეობით მსოფლიო ტრენდს წარმოადგენს ეთერზეთების ახალი სანედლეულო ბაზების ძიება, მიღების ტექნოლოგიების დახვეწა, მიღებული ეთერზეთების ქიმიური შედგენილობის შესწავლა, ბუნებრივი მარკერების შექმნა და მათი ფიზიოლოგიური აქტიურობის დადგენა.საქართველოს ფლორა, კერძოდ აჭარის ველური ფლორა 1837 სახეობას ითვლის. მათ შორის 174 ენდემურია. ისინი მიეკუთვნება 43 ოჯახს და 109 გვარს, რაც აჭარის მთლიანი ფლორისტული შემადგენლობის 9,47%-ს შეადგენს (მემიაძე, 2004 -2009: 20,21,22). უმეტესობა ენდემური სახეობებისა შეუსწავლელია. ჩვენი კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ აჭარის ენდემები: წყავმაზა (Phillyrea vilmoriniana), და აჭარული ყოჩივარდა (Cyclamen adzharicum Pobed). ამ სახეობების შერჩევის მიზეზი მათი სურნელოვანი ყვავილებია, რომლიდანაც მიღებული ეთერზეთები შეიძლება გამოყენებული იქნას არომათერაპიაში კოსმეტიკური მიმართულებით. ასევე ამ მიმართულებით ისინი არიან შეუსწავლელი სახეობები (არსებობს რამოდენიმე კვლევა, მაგრამ არა ამ მიმართულებით), რომელთაც გააჩნიათ საკმარისი სანედლეულო ბაზა და გამრავლების მარტივი პერსპექტივა. კვლევის სიახლეს წარმოადგენს ეთერზეთების მიღება ახალი ობიექტებიდან, როგორც ტრადიციული, ასევე სუპერფლუიდური ექსტრაქტორით, რომელიც შედარებით ახალი და უნიკალური ხელსაწყოა საქართველოს რეალობაში.

3.2 მიზანი: პროექტის მიზანია - სკოლებში STEM განათლების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა აქტუალური ექსპერიმენტული პროექტით, რაც შეიძლება მეტი მოსწავლის დაინტერესება და ჩართვა პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. რაც პროექტის მონაწილეს გამოუმუშავებს ერთ პრობლემის დანახვას სხვადასხვა საგნის პერსპექტივიდან, კრიტიკულ მიდგომას, გადაწყვეტაზე ორიენტირებას, გუნდურ მუშაობას, დამოუკიდებლად მოსაზრების გამოთქმის, თამამად შეკითხვების დასმის უნარ-ჩვევეს.სწორედ ამ მიდგომას მიჰყავს მოსწავლე სიღრმისეულ ცოდნასთან და შემდგომ მის გამოყენებასთან.

3.3 ამოცანები: პროექტის მიზნის მისაღწევად გადასაჭრელია შემდეგი ამოცანები: 1. პროექტის მონაწილეთა საინფორმაციო შეხვედრა. ინფორმაციის შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; სანედლეულო ბაზის არეალის და მარაგის დადგენა. 2. საკვლევ ნიმუშებში შედგენილობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევის თანამედროვე ფიზიკო-ქიმიური მეთოდების ადაპტირება. 3. ეთერზეთების მიღება ჰიდროდისტილაციითა და სუპერფლუიდური ექსტრაქციით. 4. ეთერზეთების კვლევა აირ- სითხური ქრომატოგრაფიით. 5. ბუნებრივი ეთერზეთებისათვის ფიზიოლოგიური აქტივობის სკრინინგი ცნობილი ნაერთებით. 6. პროექტის შედეგების ანგარიში და პრეზენტაცია

3.4 განხორციელების გზები: პროექტის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო პროგრამის პირველი და მე-4 კურსის სტუდენტები, ასევე აჭარის რეგიონის 5 სკოლის ქიმიის მასწავლებელი და 20 მოსწავლე, კონსულტირებას უწევს ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი და მოწვეული უფროსი მასწავლებელი. ამოცანის 1-ის განხორციელებაში მონაწილეობას მივიღებთ სტუდენტები, მასწავლებლები, მოსწავლეები. ჩვენს მიერ შეგროვებული და შეჯერებული იქნება ინფორმაცია ენდემური სურნელოვანი მცენარეების შესახებ, დადგენილი იქნება არეალები და მარაგები, ამისათვის მოვაწყობთ საინფორმაცია შეხვედრებს. ამოცანის 2-ის გადაწყვეტაში კონსულტირებას გაგვიწევს დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. შერჩეული იქნება კვლევის მეთოდები და გაწერილი იქნება ექსპერიმენტის ჩატარების თანმიმდევრობა. მე-3 და მე-4 ამოცანის გადაწყვეტაში ჩართული ვიქნებით სტუდენტები და მოსწავლეები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონსულტირებით. მე-5 და მე-6 ამოცანის გადაწყვეტისათვის ისევ ჩავატარებთ საინფორმაციო შეხვედრებს და გავაანალიზებთ ექსპერიმენტის შედეგებს და წარმოვადგენთ ანგარიშისა და პრეზენტაციის სახით.

4. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა) – 2024 წლისთვის

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე
ეტაპი 1							
1	პროექტის მონაწილეთა საინფორმაციო შეხვედრა.	ინფორმაციის შეგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა; სანედლეულო ბაზის	საკვლევ ნიმუშებში შედგენილობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების				

		არეალის და მარაგის დადგენა.	კვლევის თანამედროვე ფიზიკო-ქიმიური მეთოდების ადაპტირება.				
2	ეთერზეთების მიღება			ჰიდროდისტილაციის მეთოდი	სუპერფლუიდური ექსტრაქტორის გამოყენებით		
3	ეთერზეთების კვლევა					აირ -სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენებით	
4	პროექტის შედეგები						ანგარიში და პრეზენტაცია

. მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: აჭარის რეგიონის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, რომლებიც გადიან საბუნებისმეტყველო მიმართულების დისციპლინებს.

7. მოსალოდნელი შედეგები: ა) STEM განათლების პოპულარიზაცია, რაც გულისხმობს მეტი მოსწავლის დაინტერესებას საბუნებისმეტყველო მიმართულებით. ბ)უნივერსიტეტსა და სკოლას შორის არსებული კავშირის განმტკიცება, რაც საფუძველი იქნება შემდგომი ერთობლივი პროექტების განხორციელების. პროექტში დაყენებული პრობლემატიკა კავშირშია ბსუ-ს სტრატეგიული

განვითარების გეგმასა და მისიასთან, რაც გულისხმობს დასავლეთ საქართველოს ბიომრავალფეროვნების გამოყენებით კვლევას. პროექტის წევრები არიან როგორც გამოცდილი მეცნიერები აგრეთვე დამწყები ქიმიკოსები, რაც საშუალებას იძლევა შეიძინონ, როგორც ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის პრაქტიკული უნარ -ჩვევები, ასევე ექსპერიმენტის მართვის გამოცდილება,ეს კი საფუძველია მომავალი ქიმიკოსების პროფესიონალებად ჩამოყალიბებისათვის.

8. მონიტორინგი: პროექტის შესრულების მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს ეტაპების მიხედვით აქტივობების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტებით-ექსპერიმენტის აღწერის ჟურნალი, ფოტო და ელექტრონული მასალა, ანგარიში და პრეზენტაცია.

9. შეფასება: STEM მიმართულების პოპულარიზაცია, პროექტით მოცული მიზნობრივი ჯგუფის მაშტაბურობა, განსახორციელებელი ექსპერიმენტის აქტუალობა, მოსწავლეთა, სტუდენტთა და კვალიფიციურ პროფესიონალთა ერთობლივი ჩართულობა პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე, რაც განაპირობებს ჩვენი პროექტის წარმატებას.

	პროექტის დასახელება										
	პროექტის მოკლე აღწერა										
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა (ლარი)	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად					
						მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი
1	კახა კოტრიკაძე	500	500	პროექტის აქტიური ხელმძღვანელის მატერიალური ანაზღაურება.	დასაქმდება 1 სტუდენტი. ხელმძღვანელის კმაყოფილება	+	+	+	+	+	+
2	ირინა გობაძე	200	200	პროექტში ჩართული აქტიური მონაწილის მატერიალური ანაზღაურება	დასაქმდება 1 სტუდენტი. სტუდენტის კმაყოფილება	+	+	+	+	+	+
3	ანა ჯინჭარაძე	200	200	პროექტში ჩართული აქტიური მონაწილის მატერიალური ანაზღაურება	დასაქმდება 1 სტუდენტი. სტუდენტის კმაყოფილება	+	+	+	+	+	+

4	მირანდა პაქსაძე	300	300	პროექტში ჩართული აქტიური მონაწილის მატერიალური ანაზღაურება.	დასაქმდება 1 სტუდენტი. სტუდენტის კმაყოფილება	+	+	+	+	+	+
5	რეაქტივები,ჭურჭელი, დამცავი საშუალებები	1500	2100	ლაბორატორიული მატერიალური ბაზის გაუმჯობესება	3 ლ გამხსნელი და 5 დასახელების ჭურჭელი	+	+	+	+	+	
6	ტრანსპორტირება	ტრანსპორტირება განხრციელდება მაღალმთიან აჭარაში-ქედა-შუახევი - ხულო	300	მცენარის ნიმუში	2კგ მცენარის ყვავილის ნიმუში	+	+	+	+	+	